

სამაგისტრო პროექტი: ფინანსური რეგულაციების გავლენის შეფასება
საგალო ვაჭრობის სექტორზე RIA მეთოდოლოგიის გამოყენებით



ნანა ელიოზიშვილი

ირაკლი ისაკაძე

ივერი ახვლედიანი

ჯგუფი N25

სამაგისტრო პროექტი წარდგენილია ილიაუნის ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ხიშტოვანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2019

ნაშრომში გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა

RIA - რეგულირების გავლენის შეფასება (Regulatory Impact Assessment)

სებ - საქართველოს ეროვნული ბანკი

რზმ - რეგულაციის ზეგავლენის შეფასება

მშპ - მთლიანი შიდა პროდუქტი

სსფ - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

სს - სააქციო საზოგადოება

ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე

ROA - უკუგება აქტივებზე

ROE - უკუგება კაპიტალზე

PTI - სესხის მომსახურების კოეფიციენტი

LTV - უზრუნველყოფის ღირებულების კოეფიციენტი

DSTI (Debt service to income) - ვალის მომსახურების კოეფიციენტი

EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ნაშრომში გამოყენებული ცხრილების და გრაფიკების ნუსხა

გრაფიკი N1: შინამეურნეობების ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა - გვ. 7

გრაფიკი N2: შინამეურნეობის ვალის მომსახურების და შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების თანაფარდობის ზრდის ტემპი - გვ. 8

გრაფიკი N3: შინამეურნეობის ვალისა და შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლების თანაფარდობის ზრდის ტემპი - გვ. 9

გრაფიკი N4: ვალისა და მათი მომსახურების კოეფიციენტის განკარგვად შემოსავალთან მიმართებაში ზრდის ტემპების ცვლილებების შედარება - გვ. 10

გრაფიკი N5: უმოქმედო სესხების მთლიან სესხებთან თანაფარდობა - გვ. 12

გრაფიკი N6: საბანკო სექტორის მომგებიანობა (ROA და ROE კოეფიციენტები) - გვ.13

გრაფიკი N7: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელი - გვ. 14

ცხრილი N1: PTI კოეფიციენტების ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული დასაშვები მაქსიმალური მნიშვნელობები სხვადასხვა ოდენობის წმინდა შემოსავლის მქონე ფიზიკური პირებისთვის - გვ. 25

ცხრილი N2: უზრუნველყოფის შეფასებითი ღირებულების სესხის საერთო მოცულობასთან ფარდობის LTV კოეფიციენტის მაქსიმალური დასაშვები ზღვრები - გვ. 25

ცხრილი N3: PTI და LTV კოეფიციენტების მაქსიმალური დასაშვები ზღვრები უნგრეთის მაგალითზე - გვ. 28

ცხრილი N4: დაინტერესებულ მხარეთა ინტერესის/ზეგავლენის მატრიცა - გვ. 37

გრაფიკი N8: პროცენტული მაჩვენებელი იმ პირებისა, რომლებსაც შემოსავალი 2000 ლარზე მეტი აქვთ და ბოლო 6 თვის განმავლობაში (2019 წლის 01 იანვრიდან) მიმართეს საკრედიტო დაწესებულებას იპოთეკურ კრედიტზე მოთხოვნით- გვ. 57

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკის კონსტრუქციულ და მდგრად განვითარებაში ფინანსური და საბანკო სფეროს სტაბილურობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად მთელ მსოფლიოში და მათ შორის, საქართველოშიც, მოქმედებს გარკვეული ტიპის საბანკო და ფინანსური რეგულაციები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 24 დეკემბრის N281/04 ბრძანებით დამტკიცდა ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულება, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული დებულების თანახმად, მნიშვნელოვნად გამკაცრდა სამომხმარებლო ტიპის სესხების გაცემის პირობები და სავალდებულო გახდა მსესხებლის მიერ შემოსავლების დადასტურება.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემის წესის თაობაზე 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საბანკო რეგულაციების საქართველოს ეკონომიკასა და საცალო ვაჭრობის სექტორზე გავლენის რეტროსპექტული (ex-post) შეფასება და ანალიზი. აღნიშნული RIA (Regulatory Impact Assessment) - რეგულირების გავლენის შეფასების ანგარიში შემუშავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (საბანკო და საფინანსო საქმე) მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების მიერ.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, RIA მეთოდოლოგიის საშუალებით შეაფასოს და გააანალიზოს ახალი ფინანსური და საბანკო რეგულაციებით გამოწვეული შედეგები, განიხილოს რეგულაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები, შეაფასოს მათი გავლენა საქართველოს საცალო ვაჭრობის სექტორზე და აღნიშნულის საფუძველზე, წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები რეგულაციების გადახედვასთან დაკავშირებით, მათი შესაძლო შერბილება/გამკაცრების კუთხით.

სამუშაო ჯგუფისთვის გამოწვევა იყო RIA მეთოდოლოგიის სტრუქტურისა და კონცეფციის მორგება სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტებზე.

Abstract

Stability of the financial and banking sector plays important role in constructional and sustainable development of the country's economy. For achievement of the financial stability worldwide, including Georgia, operate certain type of bank and financial regulations.

By the order №281/04 of the President of the National Bank of Georgia as of 24 December 2018 were adopted the Regulations on crediting of a natural person which came into effect on 1st January 2019. According to these Regulations the conditions of granting consumer type loans became significantly stricter and confirmation of the income by the borrower became compulsory.

In this thesis are examined ex-post assessment and analysis of impact of the bank regulations on the order of granting loans by the National Bank of Georgia to natural persons came into effect on 1st January 2019 upon the Georgian economy and retail sale sector. Mentioned RIA (Regulatory Impact Assessment) report was developed by the students of business administration (banking and finance) MA stage of the faculty of business, technology and education of Ilia State University.

The purpose of MA thesis is, by means of RIA methodology, to assess and analyze the results caused by new financial and banking regulations, examine positive and negative sides of the regulations, assess their impact upon the Georgian retail trade sector and on the basis of the mentioned to present relevant conclusions and recommendations in relation to review of the regulations from the standpoint of their possible lessening/ tightening.

The challenge for the working group was to adjust the structure and conception of the RIA methodology on the master's thesis standards.